სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №7

ქ.ხონი **20 .03 .2023**

წერთის მხრივ ხონის **მუ**ნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ს/კ 244968950 (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლელა გოფოძის სახით და მეორეს მხრივ **შპს გორგია** ს/კ 245621288 **წ**არმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ნინო სალდაძის სახით.(შემდგომში მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვებვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის„ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება

„ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 **2023** წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი:

2.2 საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება.

3. ხელშეკრულების ობიექტი

3.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის 2 ერთეული კონდიციონერის VOX VSA7-24BE SET და კედლის კონდიციონერის BRU-09CHSA/XADI BAUF -ის მიწოდებას. **კოდი: 42512200**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3000(სამი ათასი) ლარს და 00 თეთრს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარდგენიდან 15 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველის მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს უფლებრივად უდავო საქონელი სათანადო ხარისხითა და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია,თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

9.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს—მაჟორი)

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

ა.(ა)ი.პ. ხონისმუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დირექტორი ლელა გოფოძე	შპს გორგია დირექტორის მინდობილი პირი ნინო სალდაძე
სახელმწიფო ხაზინა კოდი:0106	GE62TB1007536020100008
ს/კ 244968950	ს\კ 245621288
მის: ხონი კაკაბაძის 17 (მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ,მეორე სართული)	ს.ს. თიბისი ბანკი ბ/ნ TBCBGE22
	მის: ქუთაისი ჭავჭავაძის გამზირი #8/4

Lela Gopodze

Digitally signed by Lela Gopodze
Date: 2023.03.20 14:18:55 +04'00'